*დანართი №2*

ეროვნული ცენტრი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

,,ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმი" ქართულენოვანი და ,,ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმი" ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი

შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

10-11 აპრილი, 2023

დასკვნის წარდგენის თარიღი

5 ივნისი, 2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ..... 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ..... 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ..... 11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ..... 11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ..... 29
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ..... 38
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ..... 43
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ..... 55

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 229275405 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა ლეკაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნატალია კვაჭანტირაძე, საქართველოს ტურიზმის ასოციაცია, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ქეთევან მენთეშაშვილი, თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის" და „დაწესებულების სახის" მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

| | პროგრამა 1 | პროგრამა 2 |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმი/Business Administration-Tourism | ბიზნესის ადმინისტრირება ტურიზმი (ინგლისურენოვანი)/Business Administration-Tourism (Delivered in English) |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში/Bachalor of Business Administration in Tourism | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში/Bachalor of Business Administratiosn in Toursim |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure | 1015 მოგზაურობა, ტურიზმი და დასვენება Travel, Tourism and Leisure |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - | - |
| სწავლების ენა | ქართული | ინგლისური |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული N447 09/12/2011 | აკრედიტებული N432 09/12/2011 |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

3 (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ**[4]

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში 2010 წელს შემუშავდა ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები, რომელთაც 2011-2012 და 2012-2013 წლებში მოიპოვეს 5 წლიანი აკრედიტაცია. 2016 წელს გახანგრძლივდა აკრედიტაციის ვადები, 2017 წელს ავტორიზაციისთვის მოხდა პროგრამის სტრუქტურების მოდიფიცირება, ხოლო 2022 წელს შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამები გადამუშავდა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. განხორციელდა გარკვეული ცვლილებები აკრედიტაციის სტანდარტების, ტურიზმის დარგობრივი მახასიათებლების და შრომის ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის შიდა და გარე შეფასების ანალიზის შედეგების გათვალისწინებით. პროგრამების მიზნები და შედეგები მოვიდა შესაბამისობაში, შემუშავდა პროგრამების კურიკულუმები, გამრავალფეროვნდა სავალდებულო პრაქტიკული კომპონენტის პროფილი, რისთვისაც მოეწყო სიმულაციური სივრცეები, განისაზღვრა დაშვების წინაპირობები, გადაისინჯა სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები. სასწავლო კურსების თემატიკა დაიხვეწა საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. განახლდა ლიტერატურა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი. გაიზარდა პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა. პროგრამების ახალი სახელი ,,ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი“ განისაზღვრა მარკეტინგული მიზნით.
კლასტერული შეფასებისთვის ინსტიტუციამ წარმოადგინა საბაკალავრო საფეხურის ორი პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი და ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი). ორივე პროგრამა არსებითად იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამების მიზნები და შედეგები ორივე პროგრამისთვის ერთი და იგივეა, თუმცა მათი მიღწევისთვის დაშვების პირობები, სწავლების ენა და სასწავლო მასალები, რიგ შემთხვევაში კი შეფასების მეთოდები - განსხვავებული. ორივე პროგრამა ითვალისწინებს სწავლების სფეროს, სწავლების საფეხურის და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მოიცავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის არსებით ამოცანებს და აქტივობებს. პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და პროგრამების კატალოგში.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი ჩაინიშნა 2023 წლის 10 და 11 აპრილს. განრიგი განისაზღვრა და შეთანხმდა ინსტიტუციასთან. შეფასებამდე, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის მიერ დაორგანიზდა ექსპერტთა ჯგუფის დისტანციური წინასააკრედიტაციო ვიზიტის შეხვედრა. ჯგუფის წევრებმა გაცვალეს ინფორმაცია სააკრედიტაციო მასალების შესახებ, შეაჯერეს კონკრეტული ბუნდოვანი საკითხები, კითხვები და ერთმანეთს გაუზიარეს მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხზე. შემუშავდა შეკითხვების ჩამონათვალი, დამატებით გამოსათხოვი დოკუმენტების სია. ჯგუფის თავმჯდომარემ გადაანაწილა წევრებზე კონკრეტული დავალებები.

[4] პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ორდღიანი ვიზიტი დაიწყო შეხვედრის განრიგით გათვალისწინებულ დროს, ექსპერტთა სრული შემადგენლობით. ჩატარდა გრაფიკით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა. ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაცნობოდნენ დამატებით დოკუმენტებს (მ.შ. პრაქტიკის დღიურები და ანგარიშები, სალექციო კურსები და რიდერები), რომლითაც დასტურდებოდა თვითშეფასების ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტებში წარმოდგენილი ინფორმაცია. უნივერსიტეტში მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერებისას ექსპერტები გაეცნენ ყველა შესაძლებლობას, რაც პროგრამის ხარისხიანად განხორციელებას უზრუნველყოფს. ვიზიტი წარიმართა მშვიდ, საქმიან და კოლეგიალურ გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად უზრუნველყო პირობები იმისთვის, რომ ექსპერტთა ჯგუფს მიეღო სრულყოფილი ინფორმაცია პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დასადგენად.

- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

კლასტერული შეფასებისთვის წარმოდგენილი პროგრამები სრულ შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტებთან 1.1, 2.1, 2.2, 2.3, 2.4, 3.1, 4.1, 4.3, 4.4, 4.5, 5.1, 5.2, 5.3 კომპონენტები. მეტწილ შესაბამისობაშია **პროგრამა 1** (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი,)-სთვის 1.4 და 1.5, ხოლო **პროგრამა 2** (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ინგლისურენოვანი)-სთვის 1.2, 1.4, 1.5 კომპონენტები.

- რეკომენდაციები

*კომპონენტი 1.2*

**პროგრამა 2** (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ინგლისურენოვანი)

- ***სხვა უცხო ენების ჩამონათვალს დაემატოს ქართული ენა*** და მისი სწავლების მიდგომები დაზუსტდეს ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტების მიმართ.

*კომპონენტი 1.4*

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში სასწავლო კურსზე ***„ბიზნესის კვლევის საფუძვლები" დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი".***

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი.)

- რეკომენდებულია სასწავლო კურსზე „ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები" დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები: ***ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლების და ბიზნესის სამართლებრივი გარემო*** ქართულენოვან პროგრამაზე არსებული ანალოგიური კურსის წინაპირობის მსგავსად.

*კომპონენტი 1.5*

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში „ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები", „მენეჯმენტის საფუძვლები", „ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები" მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის განახლება და შესაბამისად კურსების შინაარსის დახვეწა.

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი).

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ გამოყენებული 2009 წლის სავალდებულო ლიტერატურის განახლება.

- **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

*კომპონენტი 1.3*

**პროგრამა 1** (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი)

- სასურველია დაკორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი N3, რომელიც შემდგომში სრულად ასახავს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეულ შედეგებს;
- სასურველია სამიზნე ნიშნულები განესაზღვროს მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების სპეციფიკური შუალედური შეფასების ცალკეულ კომპონენტებსაც (მაგ., ესე, რეფერატი, პრეზენტაცია, მინიპროექტი და მსგვ.).

*კომპონენტი 1.4*

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს ,,ოპერაციების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი.

*კომპონენტი 1.5*

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველია, გადახედილ იქნეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ***ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის კვლევის საფუძლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები***) ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები (განსაკუთრებით ერთი ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსების) სინქრონიზაციის მიზნით, კერძოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ დეტალებზე როგორიცაა: გამოყენებული ლიტერატურა, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები (მაგ. ***ბიზნესის კვლევის საფუძვლებში*** დასკვნითი გამოცდა ინგლისურენოვან სილაბუსში ფასდება კვლევითი პროექტით, ქართულენოვანში ტესტებით, ამავე კურსის ინგლისურენოვან სილაბუსში შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდენილია 70/30-ზე თანაფარდობით, ქართულენოვან სილაბუსში 60/40-თან თანაფარდობით და ა.შ).

*კომპონენტი 1.5*

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

- სასურველია სასწავლო კურსები ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,ადამიანური რესურსების მართვა“ შეივსოს პროფილური ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით;
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში ***ადამიანური რესურსების მართვა*** დაკონკრეტდეს სად ან როდის იკითხება მე-4 კვირას ჩანიშნული ქვიზის შემდეგი საკითხები: *ბიზნეს გარემო, დაგეგმვა და მიზნის დასახვა, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება*;

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი).

- სასურველია ტექნიკურად დაკონკრეტდეს სასწავლო კურსი ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ პროგრამის სწავლის მე-3 შედეგის მხოლოდ განმტკიცებას ემსახურება, თუ ამავე დროს აღრმავებს აღნიშნულ სწავლის შედეგს, როგორც ეს არის მონიშნული ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამაში.

*კომპონენტი 5.2*

- სასურველია დაწესებულების მხრიდან განხორციელდეს დამსაქმებელთა ჩაღრმავებული კვლევა, რათა შეიქმნას ბაზრის მოთხოვნის სრულყოფილი სურათი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

▪ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ინსიტუციის არგუმენტირებული პასუხი კლასტერული აკრედიტაციის დასკვნის პროექტის რეკომენდაციებთან და რჩევებთან დაკავშირებით და მიიღო გადაწყვეტილება, არ შეიტანოს ცვლილება საბოლოო დასკვნაში.
▪ ინსტიტუციის პასუხში აღნიშნული ინფორმაცია არასწორია, რადგან, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ უცხო ენების სასწავლო კურსების პაკეტში ქართული ენის სილაბუსები არ ფიგურირებს. წარმოდგენილია ჩინური, რუსული, არაბული, კორეული, თურქული, ესპანური და გერმანული ენების სილაბუსები. ამასთან, მნიშვნელოვანია ქართული ენის მასტიმულირებელი მიდგომები ამუშავდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რათა უკეთ შეძლონ ქართულ საზოგადოებასთან ინტეგრირება (მაგ. პრაქტიკის ობიექტზე, ბაზრის კვლევისას და სხვა პროცესების წარმართვისას).
▪ რაც შეეხება ლიტერატურის და წინაპირობების ცვლილებას, ექსპერტთა ჯგუფი მხედველობაში ვერ მიიღებს აკრედიტაციის ვიზიტის შემდგომ განხორციელებული ცვლილებების ამსახველ დოკუმენტებს.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

### აკრედიტაციის ექსპერტთათვის შეფასების მიდგომები:

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება[6]
2. კლასტერული შეფასება[7]

| სტანდარტი/კომპონენტი | შეფასების მიდგომები |
|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | |
| 1.1. პროგრამის მიზნები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | კლასტერული |
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** | |
| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | კლასტერული |
| 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები | კლასტერული |
| 2.4. სტუდენტების შეფასება | კლასტერული |
| **3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა** | |
| 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | კლასტერული |
| 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | კლასტერული |
| **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** | |
| 4.1. ადამიანური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება | კლასტერული |

---

[6] **შეფასების მიდგომები**: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

[7] **შეფასების მიდგომები:** **საჭიროების შემთხვევაში** აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

| | |
|---|---|
| 4.4. მატერიალური რესურსი | კლასტერული და ინდივიდუალური |
| 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა | კლასტერული და ინდივიდუალური |
| **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** | |
| 5.1. შიდა ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.2. გარე ხარისხის შეფასება | კლასტერული |
| 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება | კლასტერული |

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერული შეფასებისთვის ინსტიტუციამ წარმოადგინა საბაკალავრო საფეხურის ორი პროგრამა: ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი და ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი). ორივე პროგრამა არსებითად იდენტურია, რაც ნიშნავს, რომ პროგრამების მიზნები და შედეგები ორივე პროგრამისთვის ერთი და იგივეა, თუმცა მათი მიღწევისთვის დაშვების პირობები, სწავლების ენა და სასწავლო მასალები, რიგ შემთხვევაში კი შეფასების მეთოდები - განსხვავებული. ორივე პროგრამა ითვალისწინებს სწავლების სფეროს, სწავლების საფეხურის და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და მოიცავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის არსებით ამოცანებს და აქტივობებს. პროგრამები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და პროგრამების კატალოგში.

პროგრამები შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, კერძოდ ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიაა უზრუნველყოს პროფესიონალიზმზე ორიენტირებული ხარისხიანი განათლება, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას. უნივერსიტეტი ისწრაფვის ხელი შეუწყოს კულტურათაშორის დიალოგს, შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში" და მიზანთან - ,,შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გახდება საერთაშორისოდ აღიარებული უნივერსიტეტი ხარისხიანი განათლების, ეფექტური მენეჯმენტის, კვლევებისა და საზოგადოებრივი ჩართულობის მხრივ, რაც თავის მხრივ ემსახურება სტუდენტებისა და პერსონალისათვის საჭირო გარემოს შექმნას იმ მიზნით, რომ მათ მოახდინონ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა და უწყვეტი სწავლების პრინციპის განხორციელება".

შესაფასებელი პროგრამების მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია; იგი ითვალისწინებს სწავლის სფეროს, სწავლების საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს. პროგრამების მიზნები ასახავს, თუ არა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს პროგრამას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

პროგრამებში გათვალისწინებულია ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნები და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციები და საჭიროებები, რაც დასტურდება როგორც პროგრამების შემადგენელ კომპონენტებში (უცხო ენის სწავლება, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ინტერნაციონალიზაციის აქტივობები, უცხოელ სტუდენტთა ჩართულობა, უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში უცხოელების მონაწილეობა და ა.შ), ასევე, შრომის ბაზრის კვლევით და დამსაქმებლებთან ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)[8]
ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი - მიზნები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი/კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით ექნებათ მდიდარი თეორიული ცოდნა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები:

1.1. განუვითაროს ტურიზმის სფეროში კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავების, ღონისძიების დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის შექმნის და შეთავაზების, ტურების დაგეგმვის და თვითღირებულების გამოთვლის უნარები და დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ***ქართულ და უცხო ენაზე;***

1.2 გაუღრმაოს ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ ინტერესი და მოტივაცია და გააცნობიეროს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

ამრიგად, აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია ქართულ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარის გამომუშავებაზე, რაც განასხვავებს მას კლასტერული აკრედიტაციისთვის შესაფასებლად წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისგან ,,ბიზნესის ადმინისტრირება-ტურიზმი“.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)[9]
ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი - მიზნები ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით:

1. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი/კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც დარგის სპეციფიკის

---

[8] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

[9] აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
აღწერისა და ანალიზის ველი გთხოვთ, გაიმეოროთ პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, მაგალითად, პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური), პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) და ა.შ. *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

გათვალისწინებით ექნებათ მდიდარი თეორიული ცოდნა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და ტრანსფერული უნარები:

1.1. განუვითაროს ტურიზმის სფეროში კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტის შემუშავების, ღონისძიების დაგეგმვის, ტურისტული პროდუქტის შექმნის და შეთავაზების, ტურების დაგეგმვის და თვითღირებულების გამოთვლის უნარები და დაამყაროს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ***ინგლისურ ენაზე;***

1.2. გაუღრმაოს ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ ინტერესი და მოტივაცია და გააცნობიეროს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა.

ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა აქცენტირებულია ინგლისურ ენაზე კომუნიკაციის უნარების მქონე მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ, რომელთაც ინგლისურის გარდა სხვა უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობაც აქვთ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან.
- შრომის ბაზრის კვლევა.

**რეკომენდაციები -** წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები -** არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**შეფასება** [10]

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

[10] შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

| კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაფასებლად წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგები ***თითქმის*** იდენტურია. ისინი შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რაც დასტურდება პროგრამებში წარმოდგენილი მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობების რუკებით. შესაფასებლად წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები ორიენტირებულია ზოგადად ბიზნესის ადმინისტრირების და, კონკრეტულად, ტურიზმის მიმართულებით საჭირო ცოდნის ათვისებისა და უნარების გამომუშავებაზე. შესაბამისად, მიზნების და შედეგების შესაბამისობა ყველა შემთხვევაში იკვეთება, გარდა ერთისა, რომელიც დაკავშირებულია 1.2 ქვემიზანთან. ლოგიკურია, რომ აღნიშნული ქვემიზანი, რომელიც ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ ინტერესის და მოტივაციის ***გაღრმავებას*** გულისხმობს, ვერ იქნება დაკავშირებული ტურიზმის (საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, დაცული ტერიტორიები, სასტუმრო ინდუსტრია) და მასთან დაკავშირებული დარგების/სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი) ძირითად კონცეფციების, თეორიებისა და პრინციპების ***აღწერასთან.***
პროგრამების შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამების მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას. ისინი შეესაბამება კვალიფიკაციის საბაკალავრო საფეხურის დონეს. ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს. შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლევა განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას.

პროგრამების სწავლის შედეგების შემუშავება თანამშრომლობითი პროცესია და მასში ჩართულია ყველა დაინტერესებულლი მხარე (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი და სხვა). აღნიშნული დადასტურდა არამარტო კლასტერული თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციით და ოქმებით, არამედ აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში პროგრამის განხორციელებაში ჩართულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგებითაც.

პროგრამების განხორციელებაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ დაინტერესებული პირებისთვის სწავლის შედეგების გაცნობას, რაც ხორციელდება როგორც სამუშაო შეხვედრების, ასევე სასწავლო პროცესში დამსაქმებლების მოწვეულ პედაგოგებად ჩართულობის, ელექტრონული ფოსტის, სოციალური ქსელების და სხვა გზით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

შესაფასებლად წარმოდგენილი ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი - შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- აღწერს ტურიზმის (საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, დაცული ტერიტორიები, სასტუმრო ინდუსტრია) და მასთან დაკავშირებული დარგების/სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი) ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და პრინციპებს;
- აანალიზებს საჯარო/არასამთავრობო, კერძო, ეროვნული და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების როლს და ფუნქციებს და ახდენს ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების და მართვის საკითხების ცოდნის დემონსტრირებას, მოქმედებს ეთიკური ნორმების დაცვით და აცნობიერებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას;
- მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ, აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას **ქართულ და/ან უცხო (ინგლისური) ენაზე;**
- განიხილავს ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს საქმიანობის პროცესებს და ტურისტული მომსახურების დაგეგმვას, განხორციელებას და მართვას;
- ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ტურიზმის სფეროში, გეგმავს და ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, ადგენს ტურებს, ქმნის ტურისტულ პროდუქტებს;
- ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, იღრმავებს ცოდნას ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ.

აღნიშნულ პროგრამაში მკაფიოდ არის აქცენტი გაკეთებული ინგლისური ენის და სხვა უცხო ენების შეთავაზებების შესაძლებლობებზე. 20 კრედიტი გათვალისწინებულია უცხო ენებისთვის. ინგლისური ენის არჩევა სავალდებულოა, თუ სტუდენტი ვერ ადასტურებს ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს. სტუდენტი თავისუფლდება ინგლისური ენის არჩევისგან თუ წარმოადგენს B2 დონის ან უფრო მაღალ დონეზე ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს ან უცხოეთში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს (ატესტატი/დიპლომი) ან წარმატებით ჩააბარებს შზსუს ენის სკოლაში ინგლისური ენის B2 დონის გამოცდას. თუ სტუდენტს უდასტურდება ინგლისური ენის ცოდნა მოთხოვნილ B2 ან უფრო მაღალ დონეზე, მაშინ მან უცხო ენებისთვის გამოყოფილი კრედიტების ფარგლებში უნდა აიღოს შემოთავაზებული უცხო ენებიდან ერთ-ერთი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ინგლისური ენის შესწავლას იწყებს A1 დონიდან, სავალდებულოდ უნდა აირჩიოს ინგლისური

ენის ინტენსიური A1-A2 სასწავლო კურსი. ასევე, პროგრამის კურიკულუმში სტუდენტისთვის გათვალისწინებულია შესაძლებლობა აირჩიოს ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი მაღალ კურსზე (მეოთხე კურსი) თავისუფალი კომპონენტის სახით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

შესაფასებლად წარმოდგენილი ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი - შედეგები წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- აღწერს ტურიზმის (საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა, კურორტები, დაცული ტერიტორიები, სასტუმრო ინდუსტრია) და მასთან დაკავშირებული დარგების/სფეროების (მენეჯმენტი, მარკეტინგი) ძირითად კონცეფციებს, თეორიებსა და პრინციპებს;
- აანალიზებს საჯარო/არასამთავრობო, კერძო, ეროვნული და საერთაშორისო ტურისტული ორგანიზაციების როლს და ფუნქციებს და ახდენს ტურიზმთან დაკავშირებული ორგანიზაციული პროცესების და მართვის საკითხების ცოდნის დემონსტრირებას, მოქმედებს ეთიკური ნორმების დაცვით და აცნობიერებს საზოგადოების და სახელმწიფოს წინაშე მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას;
- მსჯელობს ტურიზმის სექტორში მიმდინარე პროცესების, ინოვაციების და გამოწვევების შესახებ, აყალიბებს მოსაზრებებს და ახორციელებს ზეპირ ან/და წერილობით კომუნიკაციას უცხო (ინგლისური) ენაზე;
- განიხილავს ეკონომიკურ-ფინანსურ, პოლიტიკურ-სამართლებრივ, სოციალურ-კულტურულ, ეკოლოგიურ საკითხებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ტურიზმის სფეროს საქმიანობის პროცესებს და ტურისტული მომსახურების დაგეგმვას, განხორციელებას და მართვას;
- ხელმძღვანელის რეკომენდაციების შესაბამისად ინდივიდუალურად ან ჯგუფთან ერთად შეიმუშავებს და ახორციელებს კვლევითი/პრაქტიკული ხასიათის პროექტებს ტურიზმის სფეროში, გეგმავს და ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს, ადგენს ტურებს, ქმნის ტურისტულ პროდუქტებს;
- ზრუნავს პროფესიულ განვითარებაზე, იღრმავებს ცოდნას ტურიზმის სფეროში ინოვაციების, ინტერნაციონალიზაციის და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობების მიმართ.

წარმოდგენილ ინგლისურენოვან პროგრამაშიც ანალოგიურად აქცენტი კეთდება ინგლისური ენის სავალდებულო სწავლებაზე და სხვა უცხოური ენების შეთავაზების შესაძლებლობებზე. სხვა უცხო ენების ჩამონათვალში არის რუსული, ფრანგული, გერმანული, ესპანური, თურქული. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ ამ ჩამონათვალში მოცემული უნდა იყოს ქართული ენა და მისი სწავლების მიდგომები უნდა დაზუსტდეს ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტების მიმართ, უცხოელ სტუდენტებს მოუწევთ კომუნიკაცია ფიზიკურ პირებთან, ორგანიზაციების, ასევე, ინსტიტუციების წარმომადგენლებთან, რომლებიც შესაძლებელია ვერ ფლობდნენ სათანადო დონეზე ინგლისურ ენას და ვერ შედგეს მათ შორის სრულყოფილი კომუნიკაცია, მათ შორის - ქართული ტურისტული მარშრუტების დაგეგმვისას, ტურისტული პროდუქტების შექმნისას, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან კომუნიკაციისას, მომხმარებლებთან ურთიერთობისას და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- პროგრამების მიზნების და სწავლის შედეგების რუკები;

- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან[
- შრომის ბაზრის კვლევა.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- ***სხვა უცხო ენების ჩამონათვალს დაემატოს ქართული ენა*** და და მისი სწავლების მიდგომები დაზუსტდეს ქართულენოვანი და უცხოენოვანი სტუდენტების მიმართ.

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

---

**კლასტერული შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულებას შემუშავებული აქვს ცალკეული რეგულაციები და სახელმძღვანელო დოკუმენტები, რომელთა საფუძველზე დაწესებულებაში მიმდინარეობს კონკრეტული თემების მართვა და რეგულირება. მათი შეფასება და კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმა ამლიერებს ხარისხის კულტურასა და ხვეწს ეტაპობრივად შეფასების მექანიზმებს.

უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში უმნიშვნელოვანესი და ძირეული პროცესია სწავლის შედეგების შეფასება, რომელიც მიზნად ისახავს სწავლ-სწავლების პროცესის დახვეწა-გაუმჯობესებას, შემდგომში კვლევის პროცესის მართებულად წარმართვისა და შედეგად მაღლაკვალიფიციური დარგის სპეციალისტებით შრომის ბაზრის დაფარვის მიზნით. შესაბამისად, დაწესებულებას შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტი ***შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია***, რომლის თანახმადაც პროცესის მართებულად წარმართვა გულისხმობს:

- ✓ სწავლის შედეგების გაზომვის მიზნით *საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;*
- ✓ შეფასების პროცესში *დარგის სპეციფიკის გათვალისწინებას*;
- ✓ მიმდინარე პროცესში პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად: *აკადემიური პერონალის ჩართულობას*;
- ✓ შეფასების შედეგების: *მონიტორინგის პროცესს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან*;
- ✓ შეფასების პროცესის: *დეტალურ და ეტაპობრივ (**ოთხეტაპიანი**) განხორციელებას*;
- ✓ შეფასების ეტაპზე: *საერთაშორისო საგანმანათლებლო პროცესში არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებას*;
- ✓ შეფასებები პროცესში: *ბაზრის ანალიზსა და მოთხოვნის შესწავლას*;
- ✓ შეფასების პროცესიდან გამომდიანრე: *მართებულად შერჩეულ შეფასების მეთოდს (პირდაპირი, არაპირდაპირი)*;
- ✓ ზუსტად განსაზღვრულ და ჩამოყალიბებულ გაზომვად შეფასების ინსტრუმეტებსა და კრიტერიუმებს;
- ✓ პროგრამის სწავლის შედეგებისთვის სამიზნე ნიშნულების შემუშავებას (ამასთან მათთან დაკავშირებული ნორმალური განაწილების დიაპაზონის, გადახრის კოეფიციენტის) ინსტიტუციური გამოცდილებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ✓ სწავლის შედეგების შეფასების შემდეგ: *დამდგარი შედეგების საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის რევიზიას*;
- ✓ პროცესის დასასრულს: *განხორციელებული ცვლილებების ანგარიშსა და მიღწეული შედეგების შეფასების ახალი გეგმის შემუშავებას*;

ორივე საგანმანათლებლო პროგრამა მომზადდა აკრედიტაციის პროცესის ახალი მოთხოვნებისა და გამოწვევების შესაბამისად, ამდენად, როგორც თვითშეფასების ანგარიშის სრული პორტფოლიოდან ნათლად ჩანს და ისევე როგორც ეს დადასტურდა ინტერვიუების პროცესში წარმართული სხვადასხვა შეხვედრის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება ახალი მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დათქმულ ვადებში, რისთვისაც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს შემუშავებული აქვს სათანადო რუკები. წინამდებარე კომპონენტის შეფასების

მიზნით გადაიხედა სწავლის შედეგების რუკა, სადაც ერთიანად იყო წარმოდგენილი სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა და სამიზნე ნიშნულები.
წინამდებარე რუკაზე ზედმიწევნით ზუსტად არის შეფასებული სასწავლო კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა, ზუსტად იყო გათვლილი სასწავლო კურსების წონადობა პროგრამის ცალკეულ შედეგთან მიმართებით. თუმცა ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში, სადაც სასწავლო კურსები ქართულ ენაზე და სასწავლო პროცესი ქართულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 შედეგის მოცემული ვერსიით ჩამოყალიბების შემთხვევაში ყველა ის სასწავლო კურსი, სადაც სწავლება ქართულ ენაზეა, შეუძლებელია გავიდეს პროგრამის შედეგზე, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სასურველია დაკორექტირდეს ტექნიკური უზუსტობა და ქართული საგანმანათლებლო პროგრამის მესამე შედეგში შეივსოს ჩანაწერი, რომელიც შემდგომში წაიკითხება როგორც *„ქართულ/ან ინგლისურ ენაზე“*, რაც ავტომატურად მოვა საგანმანათლებლო პროგრამის 1.1 მიზანთან თანხვედრაში.
რაც შეეხება სამიზნე ნიშნულების განსაზღვრას, რომელიც ერთგვაროვანია ორივე საგანმანათლებლო პროგრამისათვის, მოცემულ მატრიცაში დატანილია ჩანაწერი *„სტუდენტების .......% მიიღებს 70-ზე მაღალ შეფასებას (C ან B ანA)“*, ფრჩხილებში მოცემული განმარტებიდან გამომდინარე ექსპერტთათვის ცხადი გახდა, რომ დაწესებულებას სამიზნე ნიშნულები განსაზღვრული აქვს მხოლოდ დასკვნითი გამოცდის შედეგებზე, თუმცა მრავალფეროვნებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის სრული ფორმატის დანახვისათვის სასურველი იქნებოდა, თუ სამიზნე ნიშნულები განესაზღვრება ასევე მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების სპეციფიკური შუალედური შეფასების ცალკეულ კომპონენტებსაც (მაგ., ესე, რეფერატი, პრეზენტაცია, მინიპროექტი და მსგვ.), რაც საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირთ შეუქმნიდა სრულ წარმოდგენას სრულიად სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ.

**აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**
**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)[11]

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლის შეფასების რუკა;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუქცია;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები.

[11] საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნული კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.
საჭიროების მიხედვით, პროგრამების რაოდენობის შესაბამისად, გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის მწკრივები *(მითითების ეს ფორმატი, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველი შემდგომი კომპონენტის შეფასების დროს).*

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

- სასურველია დაკორექტირდეს საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი 3, რომელიც შემდგომში სრულად ასახავს ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მიღწეულ შედეგებს;
- სასურველია სამიზნე ნიშნულები განესაზღვროს მნიშვნელოვანი დარგობრივი სასწავლო კურსების სპეციფიკური შუალედური შეფასების ცალკეულ კომპონენტებსაც (მაგ., ესე, რეფერატი, პრეზენტაცია, მინიპროექტი და მსგვ.).

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში გაერთიანებულია ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამები შედგენილია უნივერსიტეტში მოქმედი ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების ინსტრუქციის“ შესაბამისად. უნივერსიტეტი იყენებს კრედიტების ტრანსფერის ევროპულ სისტემას (ECTS). ორივე პროგრამა ინდივიდუალურად გათვლილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. ორივე პროგრამის სტრუქტურა პრაქტიკულად იდენტურია, კერძოდ ორივე პროგრამაში ერთანირად არის წარმოდგენილი, განსახვავდება მხოლოდ ტურიზმის სავალდებულო სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობა 5 კრედიტით.

პროგრამების სტრუქტურა კარგად ასახავს პროგრამების შინაარსს, სადაც გათვალისწინებულია მისანიჭებელი კვალიფიკაციის სპეციფიკა, კერძოდ, პროგრამების შინაარსი და სტრუქტურა ორიენტირებულია როგორც ბიზნესის ადმინისტრირების კომპონენტის, ისე უშუალოდ ტურიზმის სპეციფიკის სწავლებაზე. პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილი საბაზისო სასწავლო კურსების მოდული უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტებისთვის საბაზისო ტრანსფერული უნარების განვითარებას, ხოლო უცხოური ენების ბლოკი სტუდენტებს უზრუნველყოფს სავალდებულო წესით მიაღწიონ ინგლისური ენის ცოდნის B2 დონეს და მეორე უცხოურ ენად აირჩიონ შეთავაზებული ენებიდან ერთერთი: გერმანული, ფრანგული, თურქული ან რუსული. ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში წარმოდგენილია მენეჯმენტის, მარკეტინგის და ფინანსების მიმართულების სასწავლო კურსები, ხოლო ტურიზმის სავალდებულო სასწავლო კურსები უზრუნველყოფენ ტურიზმის დარგის თავისებურებების სწავლებას. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტის სახით გათვალისწინებულია პრაქტიკა, რაც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების განმტკიცების მიღწევის პროცესში. სტუდენტს შეუძლია აირჩიოს IBSU-ს კარიერული განვითარების სამსახურის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მიმართულება ტურიზმის სექტორიდან მისი ინტერესის სფეროდან გამომდინარე. გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბაზაზე სტუდენტს შესაძლებლობა აქვს სასწავლო კურსების ფარგლებში ჰქონდეთ წვდომა ე.წ. სიმულაციურ სივრცეებში არსებულ სერვისებზე, მაგალითად ,,სასტუმრო ოთახი”, ,,სარესტორნო სივრცე კეიტერინგისთვის და საკონფერენციო დარბაზი ღონისძიებების ორგანიზებისათვის” და/ან საველე პრაქტიკის დროს (საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტურები, ლაშქრობები/ექსკურსიები) გამოიყენონ ტურისტული აღჭურვილობა.

პროგრამების სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ აირჩიონ როგორც ტურიზმის მიმართულების, ისე ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სასწავლო კურსები, როგორც პროგრამიდან, ისე უნივერსიტეტში მოქმედი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების სხვა საბაკალავრო პროგრამებიდან. პროგრამების შინაარსი და მისი სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამებით განსაზღვრული მისანიჭებელი კვალიფიკაციის ,,ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში“ მიღწევას და ცხადია, შესაბამისობაშია პროგრამის გაცხადებულ სწავლის შედეგებთან. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამებით კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში აკადემიურ ხარისხი, ***სასურველია პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს ,,ოპერაციების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი.*** აღსანიშნავია, ისიც რომ ტურიზმში ოპერაციების

მენეჯმენტის საკითხები კარგად არის წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში, თუმცა ბიზნესის ადმინისტრირების კონტექსტში შესაძლებელია არსებული შეთავაზებით პროცესების კიდევ უფრო დახვეწა და მეტად ორიენტირება პროგრამის სწავლის შედეგებზე და მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე.

წარმოდგენილი პროგრამების სტრუქტურა თანმიმდევრულია და განსაზღვრულია როგორც პროგრამაზე დაშვების, ისე ცალკეული სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობები. პროგრამის განვითარების ლოგიკა მიმართულია მარტივიდან რთულისაკენ, შესაბამისად მაღალ სემესტრებში სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ცალკეული სასწავლო კურსი გაიარონ ინგლისურ ენაზე და წვდომა ქონდეთ თანამედროვე ინგლისურენოვან სასწავლო მასალებზე. პროგრამაზე განსაზღვრულია ცალკეული სასწავლო კურსებისთვის შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები, რაც ადექვატურია და დალაგებულია ლოგიკურად, თუმცა რამდენიმე სასწავლო კურსის შემთხვევაში გვაქვს კონკრეტული მოსაზრება, კერძოდ სავალდებულო სასწავლო კურსი „ბიზნესის კვლევის საფუძვლები" პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილია წინაპირობის გარეშე, რაც მიგვაჩნია რომ საჭიროებს კორექტირებას. აღნიშნული კურსის შინაარსის, მასში განხილული საკითხებისა და გამოყენებული შეფასების მეთოდების გათვალისწინებით ***რეკომენდებულია სასწავლო კურსზე „ბიზნესის კვლევის საფუძვლები" დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი „სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი".***

საბაკალავრო პროგრამების შემუშავებაში ჩართული იყო როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. აღნიშნული ფაქტი დასტურდება, როგორც შესწავლილი დოკუმენტაციის, ისე დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუებით.

დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამების შესახებ არსებული ინფორმაციის საჯაროობას და ხელმისაწვდომობას, კერძოდ, უნივერსიტეტში ტარდება ღია კარის დღეები და საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სრული ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://ibsu.edu.ge/ge/bachelors/).

თითქმის იდენტურია ბიზნესის ადმინისტრირება ტურიზის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი პროგრამების მიზანი და სწავლის შედეგები, თუმცა სწავლების ენის გათვალისწინებით ინგლისურენოვან პროგრამაზე წარმოდგენილია ინგლისურენოვანი სავალდებულო ლიტერატურა, ხოლო ქართულენოვან პროგრამაზე ძირითადად გამოყენებული ან ქართულენოვანი სახელმძღვანელოები ან ლექტორების მიერ მომზადებული სალექციო მასალები.

კლასტერში წარმოდგენილი ბიზნესის ადმინისტრირება ტურიზის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი მეტწილად ლოგიკურია და უზრუნველყოფს პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მიუხედავად მცირე განსხვავებებისა კლასტერში შემავალი ორივე პროგრამა ანიჭებს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში კვალიფიკაციას, რაც ლოგიკურია და პასუხობს სტანდარტის მოთხოვნებს.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით და გათვლილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- საბაზისო სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი;
- ენები - 20 კრედიტი;

- ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 61 კრედიტი;
- ტურიზმის სავალდებულო სასწავლო კურსები - 75 კრედიტი;
- ტურიზმის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი - 44 კრედიტი;

პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსად გათვალისწინებულია ასევე სასწავლო კურსი ,,ინგლისური ტურიზმისათვის“, რაც ცხადია ორიენტირებულია ხელი შეუწყოს პროგრამის კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობის ზრდას დასაქმების საერთაშორისო ბაზარზე. პროგრამას თან ახლავს, ასევე ე.წ. ,,ბენჩმარკინგის“ დოკუმენტი, სადაც გაანალიზებულია როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური გამოცდილება ანალოგიური პროგრამების შედგენისას. შესაბამისად, პროგრამის სტრუქტურა კარგად არის მორგებული, როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ გამოცდილებას.

განსხვავებულია ასევე პროგრამის სწავლების ენები, რაც, ბუნებრივია, პროგრამებზე დაშვების წინაპირობებში განაპირობებს კონკრეტულ განსხვავებებს, კერძოდ ბიზნესის ადმინისტრირება ტურიზის ქართულენოვან პროგრამაზე მოსახვედრად აბიტურიენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი სავალდებულო საგანი: მათემატიკა ან ისტორია ან გეოგრაფია, ხოლო შემდეგი უცხო ენებიდან უნდა ჩააბაროს ერთ-ერთი: ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი.

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა შედგენილია შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამა წარმოდგენილია 240 კრედიტის მოცულობით და გათვლილია 4 აკადემიურ წელზე (8 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- საბაზისო სავალდებულო კურსები - 10 კრედიტი;
- ენები - 20 კრედიტი;
- ბიზნესის ადმინისტრირების სავალდებულო სასწავლო კურსები - 61 კრედიტი;
- ტურიზმის სავალდებულო სასწავლო კურსები - 70 კრედიტი;
- ტურიზმის არჩევითი სასწავლო კურსები - 20 კრედიტი;
- პრაქტიკის კომპონენტი - 10 კრედიტი;
- თავისუფალი კომპონენტი - 49 კრედიტი.

ინგლისურენოვან პროგრამაში არ ისწავლება სასწავლო კურსი ,,ინგლისური ტურიზმისთვის“. ასევე, თავისუფალი კომპონენტიინგლისურენოვან პროგრამაში 49 კრედიტით არის წარმოდენილი.

სასწავლო კურსში ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ - ქართულენოვან პროგრამაზე წინაპირობად განსაზღვრული აქვს სამი სასწავლო კურსი: ***ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის სამართლებრივი გარემო***, რისი საჭიროებაც ინტერვიუების დროს დადასტურებული იქნა კურსის ლექტორის მიერ, ხოლო ინგლისურენოვან პროგრამაში აღნიშნული სასწავლო კურსის წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ორი სასწავლო კურსი: ***ტურიზმის საფუძვლები, ბიზნესის სამართლებრივი გარემო***. აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდებულია სასწავლო კურსზე ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები: ***ტურიზმის საფუძვლების, მენეჯმენტის საფუძვლების და ბიზნესის სამართლებრივი გარემოს*** ქართულენოვან პროგრამაზე არსებული ანალოგიური კურსის წინაპირობის მსგავსად.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ქართულენოვანი);
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ბენჩმარკინგის დოკუმენტი;
- ტურიზმის (ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://ibsu.edu.ge/ge/bachelors/ ;

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში სასწავლო კურსზე ***,,ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსი ,,სტატისტიკის და ალბათობის თეორიის შესავალი“.***

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებული იქნეს ,,ოპერაციების მენეჯმენტის“ სასწავლო კურსი.

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:**

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

-

**რჩევ(ებ)ი:**

-

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი.)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია სასწავლო კურსზე ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ დაშვების წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსები: ***ტურიზმის საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლების და ბიზნესის სამართლებრივი გარემო*** ქართულენოვან პროგრამაზე არსებული ანალოგიური კურსის წინაპირობის მსგავსად.

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|

| სტრუქტურა და შინაარსი | | | | |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების კურიკულუმი წარმოდგენილია ფაქტობრივად იდენტური სასწავლო კურსებით (განსხვავებულია მხოლოდ ერთი სასწავლო კურსი ,,ინგლისური ტურიზმისათვის", რომელიც პროგრამის სწავლების ენის შესაბამისად წარმოდგენილია მხოლოდ ქართულენოვან პროგრამაზე).

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა/კურიკულუმი, ისევე როგორც ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა ლოგიკურად არის წარმოდგენილი 4, 5 და 6 კრედიტიანი სასწავლო კურსების სახით. პრაქტიკის კომპონენტი წარმოდგენილია 10 კრედიტის მოცულობით. პროგრამის ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსის მიზანთან, შინაარსთან და კურსის ფარგლებში გამოყენებულ სწავლებისა და შეფასების მეთოდებთან. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგი ფორმულირებულია აქტიური ზმნების გამოყენებით და ლოგიკურად არის ჩართული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში - გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების კონტექსტში.

ცალკეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შესაბამისად საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა არის ადექვატურად გადანაწილებული და შესაბამისობაშია როგორც კურსის შინაარსთან, ისე სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მეთოდები და ფორმები გაწერილია კურსის სილაბუსში.

განსხვავებულია გამოყენებული ლიტერატურა. ინგლისურენოვან სასწავლო პროგრამაში სასწავლო კურსების სილაბუსებში გამოყენებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები და

ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალები. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში სასურველია გადაიხედოს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ***ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები***, ***ადამიანური რესურსების მართვა***, ***ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები***, ***მენეჯმენტის საფუძვლები***, ***ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები***) ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები (განსაკუთრებით ერთი ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსების) ერთმანეთთან სინქრონიზაციის მიზნით, კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ დეტალებზე როგორიცაა: კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები (მაგ. სასწავლო კურსში ***ბიზნესის კვლევის საფუძვლები*** დასკვნითი გამოცდა ინგლისურენოვან სილაბუსში ფასდება კვლევითი პროექტით, ქართულენოვანში ტესტებით, ამავე კურსის ინგლისურენოვან სილაბუსში შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდენილია 70/30-ზე თანაფარდობით, ქართულენოვან სილაბუსში 60/40-თან თანაფარდობით და ა.შ).

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

სასწავლო კურსებში გამოყენებულია თანამედროვე ქართულენოვანი პროფილური სახელმძღვანელოები და ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალები. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მათი განახლება ასევე პროფილური უახლესი ლიტერატურით. სასწავლო კურსში ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“ სავალდებულო ლიტერატურად მითითებულია 2011 და 2010 წლის გამოცემული ლიტერატურა; ასევე სასწავლო კურსის სილაბუსში ,,მენეჯმენტის საფუძვლები“ მითითებული იყო 2010 წლის ლიტერატურა, რომელიც როგორც ადგილზე ინტერვიუებისას დაზუსტდა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას და სხვა სილაბუსი იყო გადმოგზავნილი, ცხადია, ვიზიტის დროს სილაბუსის ახალი ვერსია იქნა წარმოდგენილი, თუმცა ადგილზე კონსულტაციის საფუძველზე აღნიშნული დეტალი ტექნიკურად მაინც უნდა აისახოს არსებულ რეკომენდაციაში. აღსანიშნავია, ის გარემოება რომ აღნიშნული კურსების ინგლისურენოვან სილაბუსებში გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურა ქართულ ენაზეც ხელმისაწვდომია.

გარდა ამისა, სასურველია სასწავლო კურსები ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,ადამიანური რესურსების მართვა“ გაძლიერდეს პროფილური ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით. ასევე, ადამიანური რესურსების მართვის სასწავლო კურსის სილაბუსში მე-4 კვირას ჩანიშნულია ქვიზი შემდეგ საკითხებზე: ***ბიზნეს გარემო, დაგეგმვა და მიზნის დასახვა, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება***, თუმცა კურსის შინაარსიდან გამომდინარე ბუნდოვანია სად ან როდის იკითხება ეს საკითხები. შესაბამისად, სასურველია აღნიშნული დეტალის კორექტირება.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი).

ინგლისურენოვან სასწავლო კურსებში გამოყენებულია თანამედროვე პროფილური სახელმძღვანელოები და ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო მასალები. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში საჭიროა მათი განახლება ასევე პროფილური უახლესი ლიტერატურით. მაგალითად, სასწავლო კურსში ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ გამოყენებულია 2011 წლის ფინანსური აღრიცხვის სტანდარტი, ხოლო ,,ბიზნესის კვლევის საფუძვლებში“ – 2009 წლის ლიტერატურა.

ცალკეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შესაბამისად საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების რაოდენობა არის ადექვატურად გადანაწილებული და შესაბამისობაშია როგორც კურსის შინაარსთან, ისე სწავლის შედეგებთან. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, მეთოდები და ფორმები გაწერილია კურსის სილაბუსში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ქართულენოვანი);
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:**

**კლასტერის საერთო რჩევები:**

სასურველია, გადახედილ იქნეს ზოგიერთი სასწავლო კურსის (მაგ. ***ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები, ადამიანური რესურსების მართვა, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნესის კვლევის საფუძლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები***) ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი სილაბუსები (განსაკუთრებით ერთი ავტორის მიერ შესრულებული სილაბუსების) სინქრონიზაციის მიზნით, კერძოდ ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ დეტალებზე როგორიცაა: გამოყენებული ლიტერატურა, კურსის შინაარსი, სწავლის შედეგები, გამოყენებული შეფასების მეთოდები და ფორმები (მაგ. ***ბიზნესის კვლევის საფუძვლებში*** დასკვნითი გამოცდა ინგლისურენოვან სილაბუსში ფასდება კვლევითი პროექტით, ქართულენოვანში ტესტებით, ამავე კურსის ინგლისურენოვან სილაბუსში შუალედური და დასკვნითი შეფასება წარმოდენილია 70/30-ზე თანაფარდობით, ქართულენოვან სილაბუსში 60/40-თან თანაფარდობით და ა.შ).

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია სასწავლო კურსებში ,,ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები“, ,,მენეჯმენტის საფუძვლები“, ,,ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები“ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის განახლება და შესაბამისად კურსების შინაარსის დახვეწა.

**რჩევ(ებ)ი:**

- სასურველია სასწავლო კურსები ,,ტურიზმის სტატისტიკა“, ,,ადამიანური რესურსების მართვა“ შეივსოს პროფილური ქართულენოვანი სახელმძღვანელოებით;
- სასურველია სასწავლო კურსის სილაბუსში ***ადამიანური რესურსების მართვა*** დაკონკრეტდეს სად ან როდის იკითხება მე-4 კვირას ჩანიშნული ქვიზის შემდეგი საკითხები: *ბიზნეს გარემო, დაგეგმვა და მიზნის დასახვა, მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება;*

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი).

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში ,,ბიზნესის კვლევის საფუძვლები“ გამოყენებული 2009 წლის სავალდებულო ლიტერატურის განახლება.

**რჩევ(ებ)ი:**

- სასურველია ტექნიკურად დაკონკრეტდეს სასწავლო კურსი ,,ტურიზმის პოლიტიკა და რეგულაციები“ პროგრამის სწავლის მე-3 შედეგის მხოლოდ განმტკიცებას ემსახურება, თუ ამავე დროს აღრმავებს აღნიშნულ სწავლის შედეგს, როგორც ეს არის მონიშნული ანალოგიურ ქართულენოვან პროგრამაში.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება**

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

კლასტერული აკრედიტაციის პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნვეყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას.

პროგრამებზე დაშვების წინაპიპრობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანომდებლობას.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული მათ შინაარსთან, სწავლის შედეგებთან, სწავლების საფეხურთან, მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და სწავლების ენასთან.

უსდ განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, დაწესებულების რესურსებს და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას.

პროგრამებზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება სტუდენტთა რაოდენობის დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად.

პროგრამებზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომია.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

შესაფასებელი პროგრამისათვის ერთ-ერთი სავალდებულო საგნია: მათემატიკა, ან ისტორია, ან გეორგაფია. უცხო ენებიდან აბიტურიენტს შეუძლია ერთ-ერთი ენის - ინგლისურის, გერმანულის, ფრანგულის ან რუსულის ჩაბარება. პროგრამის კურიკულუმი გვაწვდის ინფორმაციას ინგლისური და უცხოური ენის სწავლების სპეციფიკასთან დაკაშირებით.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი)

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნვეყოფს პროგრამის

შესაფასებელ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა ერთ-ერთი სავალდებულო საგნის: მათემატიკის ან ისტორიის ან გეოგრაფიის ჩაბარება. ამასთან, აბიტურიენტმა უცხოური ენის გამოცდაზე უნდა ჩააბაროს ინგლისური ენა ( 50%+1). ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისურ ენაზე აქცენტირება განპირობებულია პროგრამის სწავლების ენის სპეციფიკით, რაც სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ პირობას წარმოადგენს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი;
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- ინტერვიუ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს (არსებობის შემთხვევაში)

**რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)

**პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი))

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული განვითარებას. პროგრამების სტრუქტურა სავალდებულო წესით ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სხვადასხვა პროფილურ სტრუქტურებთან, სადაც ახორციელებს პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის გავლას. წარმოდგენილი პრაქტიკის მიზანია გაამდიდროს სტუდენტის მიერ სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნა პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და დაეხმაროს სტუდენტს გააცნობიეროს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების შესაძლებლობები. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტებს ობიექტზე ხელმძღვანელობს მენტორი, ხოლო უნივერსიტეტიდან პრაქტიკის ხელმძღვანელი. სტუდენტები პრაქტიკის კომპონენტს გადიან სწავლების მერვე სემესტრში. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ აირჩიონ პრაქტიკის კონკრეტული მიმართულება: სატრანსპორტო კომპანია, აეროპორტი, მუზეუმი, დაცული ტერიტორიები, რესტორანი, სახელმწიფო სტრუქტურები/სააგენტოები, ტურიზმის მიმართულების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, ტურისტული სააგენტოები, სასტუმროები მათი ინტერესებიდან გამომდინარე. პრაქტიკის პერიოდში სტუდენტები წერენ პრაქტიკის ანგარიშს, სადაც დეტალურად აღწერენ პრაქტიკის პერიოდში გასავლელ საკითხებს. პრაქტკის პროცესი და მისი შეფასების კრიტერიუმები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. პრაქტიკის ბოლოს სტუდენტი წარადგენს პრაქტიკის ანგარიშს. შეფასების 70%-ს სტუდენტი იღებს ობიექტზე, ხოლო 30%-ს უნივერსიტეტში. გარდა ამისა, ინივერსიტეტში ფუნქციონირებს პრაქტიკის სიმულაციური სივრცეები, სადაც სტუდენტები ახდენენ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში განმოყენებას. გარდა ზემოთაღნიშნულისა უნივერსიტეტი ახდენს ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტური კონფერენციების და სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებას, სადაც ჩართული არიან პროგრამის სტუდენტებიც.

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სტრუქტურა სავალდებულო წესით ითვალისწინებს პრაქტიკის კომპონენტის გავლას 10 კრედიტის ფარგლებში. პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების დეტალები გაწერილია პრაქტიკის სილაბუსში. პრაქტიკის პროცესი გრძელდება 15 კვირის მანძილზე. პრაქტიკის ფარგლებში სტუდენტები გადიან შემდეგ საკითხებს: ორგანიზაციის სტრუქტურისა და მათ მიერ შესრულებული საქმიანობის გაცნობა; პრაქტიკის მენტორის დახმარებით ორგანიზაციის ქცევის კოდექსის გაცნობა ინფორმაციის მიღება შიდა და გარე კომუნიკაციასთან დაკავშირებით, სამუშაო გარემოსთან შეგუება; კომუნიკაციური უნარების განვითარება; სამუშაო დოკუმენტების მომზადება; მენტორის მითითებების შესაბამისად საბაზისო კვლევის ჩატარება, მონაცემთა მოპოვება/ანალიზი; საინფორმაციო სისტემების საშუალებით სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და შეყვანა; სფეროსთან დაკავშირებული დავალებების შესრულება პრაქტიკის მენტორის მეთვალყურეობით. პრაქტიკის განხორციელების მიზნით დაწესებულება ორივე პროგრამის სტუდენეტებს სთავაზობს სხვადასხვა პრაქტიკის ობიექტებს მათი ინტერესების გათვალისწინებით, შესაბამისად, პრაქტიკის ობიეტებთან გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები. გარდა პრაქტიკის კომპონენტისა ორივე პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსები: ბიზნესის

ადმინისტრირების საფუძვლები, პროექტის მენეჯმენტი, ღონისძიებების მენეჯმენტი, ტუროპერეიტინგი და ა.შ. რომლებშიც სტუდენტები ასრულებენ სხვადასხვა მიმართულების დარგობრივ კვლევით პროექტებს, როგორც ინდივიდუალურად ისე ჯგუფურად, ადგენენ ბიზნეს გეგმებს, ქმნიან სხვადასხვა ტურისტულ პროდუქტებს და ა.შ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამები უზრუნველყოფენ პროგრამების სწავლის შედეგების და საბაკალვრო სწავლების საფეხურის შესაბამისად პროგრამის სტუდენტებისათვის პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ქართულენოვანი);
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან;
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**……………**

**შეფასება**

**გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა**

| კომპონენტი 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება-სწავლის კონკრეტული მეთოდები და აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამების ფარგლებში გამოყენებულია სწავლა/სწავლების შემდეგი მეთოდები/აქტივობები: ლექცია, სემინარი, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, პრეზენტაცია (ლექტორის მიერ), დემონსტრირება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, კრიტიკული აზროვნება, შემთხვევების შესწავლა (case study), გონებრივი იერიში (brainstorming), დისკუსია/დებატები, პრეზენტაცია (სტუდენტის/სტუდენტების მიერ), ჯგუფური მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, წიგნზე მუშაობა, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლა, პროექტზე დაფუძნებული სწავლა, საშინაო დავალების შესრულება, ელექტრონული საშუალებებით სწავლა, ახსნა-განმარტების მეთოდი. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას და უცხოურენოვანი სტუდენტების შემთხვევაში ითვალისწინებს მათ საჭიროებებს. პროგრამების სტუდენტებთან ინტერვიუებისას დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამის სტუდენტებს პირველივე კვირაში დეტალურად აცნობენ სასწავლო კურსის შინაარს, მათ შორის გამოყენებული სწავლა/სწავლების მეთოდების/აქტივობების ნაწილში.

ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმის ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსების სილაბუსები დეტალურად აღწერს კურსის სპეციფიკის

შესაბამისად გამოყენებულ სწავლება-სწავლის მეთოდებს/აქტივობებს. თითოეული გამოყენებული მეთოდი ორიენტირებულია კურსის სწავლის შედეგების მიღწევაზე და უზრუნველყოფს პროცესში სტუდენტების აქტიურ ჩართულობას. სწავლა-სწავლების მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომას. სასწავლო კურსების სილაბუსები ასევე ითვალისწინებს კურსის ფარგლებში დამატებით კონსულტაციებს, შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოს წინასწარ შედგენილი კონსულტაციების გრაფიკის მიხედვით სტუდენტებისთვის საჭირო სივრცეების გამოყოფას. აღნიშნული მექანიზმის გამოყენება დასტურდება, როგორც პროგრამის სტუდენტებთან, ისე პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პეტრსონალთან ინტერვიუებით.

გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები/აქტივობები ორიენტირებულია არა მარტო თეორიული მასალების შესწავლაზე, არამედ სტუდენტებს კურსის სპეციფიკის გათვალისწნებით უვითარებს კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარებს. დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურების დაცვით დანერგილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების გამოყენების პრაქტიკა, შესაბამისად, თითოეული პროგრამის სტუდენტს საჭიროების შემთხვევაში შეუძლია ისარგებლოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, სადაც მაქსიმალურად ხდება მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ქართულენოვანი);
- საბაკალავრო პროგრამა - ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი);
- საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან;
- ინტერვიუები საბაკალავრო პროგრამების შემუშავებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

...............

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის და შპს-შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად. შეფასების სისტემა შეესაბამება სასწავლო კურსებს და სხვა საგანმანათლებლო კომპონენტებს, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების უნარებისა და ცოდნის ამაღლებასა და სტუდენტებისგან ადეკვატური უკუკავშირის მიღებაზე.

სწავლის შედეგების შეფასება შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ორივე პროგრამისთვის საერთოა და მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს მაქსიმალურ საბოლოო - 100 ქულას. სასწავლო კურსში სტუდენტი ფასდება მთელი სასწავლო სემესტრის განმავლობაში. შესაბამისად, მისი საბოლოო ქულის მინიჭება წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებების ჯამს; შეფასების ფორმები მოიცავს სხვადასხვა კომპონენტს, როგორიცაა: ზეპირი/წერითი გამოცდა, ტესტი, ქვიზი, პრეზენტაცია, პრაქტიკული/ საშინაო დავალება/დამოუკიდებელი სამუშაო და სხვა. შეფასების თითოეულ ფორმას შეფასების საერთო ქულიდან (100) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი. დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულაა 40, დანარჩენი 60 ქულა კი ნაწილდება შუალედური შეფასებების მიხედვით; შუალედური შეფასების 60 ქულის განაწილება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე ტესტირებას, პრაქტიკულ მეცადინოებებზე აქტივობას, პრეზენტაციებს, საშინაო დავალების განხილვას, ჯგუფურ სამუშაოს, დისკუსიას და სხვა, რომელიც დეტალურად გაიწერება სილაბუსში კურსის წამყვანი პროფესორის მიერ.

თუმცა აღსანიშნავია, რომ ორ საგანში "დაჯავშნის სისტემები ტურიზმში "და "ტურიზმის მარკეტინგი" შეფასების სისტემა მოცემულია როგორც ქულის ისე პროცენტის სახით. საგანი "ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები "- ქართული პროგრამის სილაბუსში ვხვდებით ბევრ კონკრეტული შემთხვევის განხილვას, რომელიც ინგლისურში არ არის. ასევე სააუდიტორო აქტივობა ქართულ პროგრამაში ფასდება 10 ქულით და შეფასების კრიტერიუმები ჩაშლილია 1-დან 10-მდე, ინგლისურში იგივე კომპონენტი ტარდება 10-ჯერ და ფასდება 1 ქულით, ხოლო საგანში, ბიზნესის კვლევის საფუძვლები "-მაგალითად, ქართულ პროგრამაზე შუალედური გამოცდა ფასდება ჯამში 60 ქულით, დასკვნითი 40-ით და დასკვნით გამოცდა მხოლოდ საკვლევი პროექტის პრეზენტაციაა. ინგლისურ პროგრამაზე შუალედური გამოცდა ფასდება ჯამში 70 ქულით, დასკვნითი 30-ით და დასკვნითი გამოცდა მრავალვარიანტულ შეკითხვებსა და ღია ტიპის კითხვებს მოიცავს.

შუალედურ და დასკვნით შეფასებას აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც შესაბამისი შეფასების არანაკლებ 30% -ია. შუალედური და დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელიც სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით დააგროვებს სილაბუსით გაწერილ მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს; სტუდენტის მიერ შესაბამის სასწავლო კურსში კრედიტების მიღება/დაგროვება შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული სამუშაოს წარმატებით დასრულებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;

შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას:(A) ფრიადი – 91-100 ქულა; (B)ძალიან კარგი – 81-90 ქულა; (C) კარგი – 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი –61-70 ქულა; (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს შეუძლია გავიდეს განმეორებით ფინალურ გამოცდაზე (Fx): • თუ სტუდენტმა გადალახა შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შუალედური შეფასების შედეგად უგროვდება 41 და მეტი ქულა • თუ მან გადალახა შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრები და ორივე შეფასების შედეგად უგროვდება 41-50 ქულა.

ინტერვიუს დროს ლექტორებმა და სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ. ნაშრომის შესრულების აკადემიური სტილის მოთხოვნები წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის და გათვალისწინებულია სტუდენტის ნაშრომების შეფასებისას. ასევე პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის და რეაგირების მექანიზმები უნივერსიტეტში არსებობს და წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისთვის.

სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები. შემფასებელს/კომისიას ეძლევა 5 (ხუთი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისათვის, თუმცა ინტერვიუს ჩატარებისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გასაჩივრების პროცესებით ჯერ არ უსარგებლიათ.

ვიზიტისას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს შეფასების შედეგების ანალიზის

სტრატეგია და ის განხორციელების ეტაპზეა. ინტერვიუს დროს მათ ახსენეს, რომ თუ სტუდენტების 30%-ზე მეტი ერთსა და იმავე საგანში 3-ჯერ ჩაიჭრება, მაშინ აუცილებლად მოხდება სწავლების მეთოდიკის, ლექტორის კომპეტენციისა და სილაბუსის გადახედვა და ამ საკითხის განხილვა.
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამებში დისტანციური განათლების დანერგვის კონცეფცია ელექტრონული ფორმით და ადმინისტრირების წესი, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტების ელექტრონული/დისტანციური სწავლების შეფასების მეთოდებს და ასევე, ახორციელებს ამავე შეფასებების სანდოობისა და ვალიდულობის მონიტორინგს.

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამების კლასტერული თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამების აღწერილობა;
- სილაბუსები;
- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:**

- სასურველი იქნება თუ საგანებში "დაჯავშნის სისტემები ტურიზმში "და "ტურიზმის მარკეტინგი" შეფასების სისტემას შეუსაბამებენ საზოგადო წესს.
- სასურველია, ორივე პროგრამის სილაბუსები საგანში "ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები "აქტივობის შეფასების მეთოდები, ასევე, საგანში "ბიზნესის კვლევის საფუძვლები " შუალედური და ფინალური გამოცდების სტრუქტურა და შეფასებები მოვა თანხვედრაში.

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში | ნაწილობრივ შესაბამისობაში | არ არის შესაბამისობაშ |
|---|---|---|---|---|
| 2.4 სტუდენტების შეფასება | | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | ა მოთხოვნებთან | ა მოთხოვნებთან | ი მოთხოვნებთან |
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | მეტწილად შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | ნაწილობრივ შესაბამისობაშ ია მოთხოვნებთა ნ | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთა ნ |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი), ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციებსა და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვასთან დაკავშირებით; უნივერსიტეტი ასევე უზრუნველჰყოფს უცხოელი სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრირებას. ინტერვიუს დროს უცხოელმა სტუდენტებმა გამოთქვეს კმაყოფილება, რომ ისინი უნივერსიტეტში თავს ძალიან კარგად გრძნობენ და თავისუფლად შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, ლექტორებთან და ადმინისტრაციასთან კომუნიკაცია. ჩარიცხვის შემდეგ პირველ კვირას სტუდენტებს უტარდებათ საორიენტაციო შეხვედრა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებთან. ყველა საფეხურის სტუდენტებს მიეწოდებათ ყველა ინფორმაცია საუნივერსიტეტო მომსახურებებისა და საუნივერსიტეტო სივრცეში უახლესი ინფორმაციის შესახებ როგორც ელექტრონულ ფოსტაზე ასევე “სმს”-ის სახით ტელეფონზე. სტუდენტებს აქვთ ყველა საჭირო ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზე, როგორიცაა: აკადემიური კალენდარი; სტუდენტის გზამკვლევი; სტუდენტური თვითმმართველობა; სტუდენტური კლუბები და ა.შ. უნივერსიტეტში სტუდენტები სარგებლობენ ერთიანი საინფორმაციო და სასწავლო პლატფორმით, საიდანაც აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ საგანმანათლებლო რესურსები. სასწავლო სემესტრის დასაწყისში, ყოველი აკადემიური კურსის პირველ შესავალ ლექციაზე, სტუდენტი იღებს სრულ ინფორმაციას სილაბუსით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ. კურსის თითოეული სასწავლო სილაბუსში მითითებულია კონსულტაციის საათები და ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია. ვიზიტის დროს სტუდენტებმა და ლექტორებმა აღნიშნეს, რომ ნებისმიერ დროს, საკონსულტაციო საათების გარდა სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ლექტორებისგან ნებისმიერი ინსტრუქცია და მითითება ამის საჭიროების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები ინფორმირებულები არიან და აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში. მაგალითად: პროექტი ”homecoming“, ღონისძიება “ტურისტული სოფელი “ და სხვა .

დაწესებულებაში არსებობს შიდა გრანტები, რომელიც ფარავს სწავლის საფასურს.

ასევე არის შიდა გრანტი, რომელსაც უნივერსიტეტი აფინანსებს სახელმწიფო გრანტთან ერთად. ასევე სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ვერცხლის მედალოსნებს უნივერსიტეტი 20% გრანტს აძლევს, ოქროს მედალოსნებს -30 % გრანტს, ხოლო თუ სტუდენტმა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე 50/70/100 პროცენტიანი დაფინანსება მიიღო, იმდენივეს უფინანსებს უნივერსიტეტიც.

უნივერსიტეტს აქვს საერთაშორისო შეთანხმებები სტუდენტებისთვის:

სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში. მაგალითად: ტურიზმის პროგრამაზე ფლორენციაში 9-10 სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა, სადაც უნივერსიტეტმა ნაწილობრივ დააფინანსა სტუდენტთა მგზავრობა და საცხოვრებელი. ასევე, გერმანიის უნივერსიტეტში გაიგზავნა 5-მდე სტუდენტი სტაჟირების გასავლელად და ერთ-ერთმა სტუდენტმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ ამსტერდამის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში იყო ერასმუსის გაცვლითი პროგრამით ნამყოფი.

ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ისინი რეგულარულად იღებენ სხვადასხვა ვაკანსიას ელექტრონული ფოსტით და sms-ით. ასევე, უნივერსიტეტი ახორციელებს სხვადასხვა აქტივობებს, როგორიცაა დასაქმების ფორუმები. ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა კმაყოფილება გამოთქვეს ტურიზმის პროგრამებზე არსებული სტუდენტების მიმართ. ვიზიტის დროს გასაუბრებისას სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოხატეს თავიანთი დადებითი დამოკიდებულება საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ. ისინი კმაყოფილნი არიან სწავლების ხარისხით, პროფესორების კვალიფიკაციის დონით, სწავლების მეთოდებით და სტუდენტური მომსახურებით. სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოხატონ თავიანთი საჭიროებები სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. პროგრამების შემუშავებისას გათვალისწინებული იყო სტუდენტების შემოთავაზებები. მაგალითად, სტუდენტების ინიციატივით, ორი საგანი, რომელიც ორ სემესტრად ისწავლებოდა გაერთიანდა, სილაბუსი შეიცვალა და ახლა ერთ საგნად ისწავლება. ასევე მაკროეკონომიკა და მიკროეკონომიკა გადაკეთდა და ამჟამად სტუდენტები "ეკონომიკის საფუძვლებს" შეისწავლიან. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი სემესტრში 2-ჯერ ატარებს სტუდენტების კმაყოფილების გამოკითხვებს. ინტერვიუების დროს ექსპერტებისთვის ცნობილი გახდა, რომ სტუდენტების ჩართულობა გამოკითხვებში საკმაოდ დაბალია. ამიტომ, დამატებით, ხორციელდება სტუდენტებთან ფოკუს ჯგუფებში მუშაობა, რათა მეტი გამოხმაურება იყოს სტუდენტებისგან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის სივრცე მოიცავს როგორც ბეჭდურ, ასევე ელექტრონულ წიგნებს. სტუდენტებს, ასევე, აქვთ წდომა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე, მათ შეუძლიათ smart სისტემაში ნებისმიერი ელექტრონული სახელმძღვანელოს მოძიება. ვიზიტისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ტუტორების შესახებ აქვთ ინფორმაცია და იყენებენ მათ დახმარებას შეძლებისდაგვარად. ასევე, ინფორმირებულები არიან პლაგიატთან დაკავშირებული წესების შესახებ და ნაშრომის შეფასების გასაჩივრების პროცედურები მათთვის ცნობილია - კოორდინატორთან კომუნიკაციის შედეგად ხდება აპელაცია და ნაშრომის გადახედვა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- სტუდენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ინტერვიუს შედეგები.

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები | შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაშ ი მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი, ბაკალავრიატი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2** (ბიზნესის ადმინისტრირება - ტურიზმი (ინგლისურენოვანი) , ბაკალავრიატი) | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

---

კლასტერული შეფასება

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**საჭიროების შემთხვევაში, აღწერა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით**

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

| |
|---|
| **მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები** |
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**[12] |

[12] საჭიროების მიხედვით გთხოვთ, დაამატოთ შესაბამისი რაოდენობის ცხრილები კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის.

| | |
|---|---|
| სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| //სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა | |
| მაგისტრანტების რაოდენობა | |
| //დოქტორანტების რაოდენობა | |
| თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები | |
| თანაფარდობა - სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელები/დოქტორანტები | |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**კლასტერის საერთო რეკომენდაციები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**კლასტერის საერთო რჩევები:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს

**არსებობის შემთხვევაში რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:** გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები ცალკეული პროგრამების მიხედვით

**პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**პროგრამა 2** (სახელწოდება, საფეხური)

**რეკომენდაცი(ებ)ი:**

**რჩევ(ებ)ი:**

**...............**

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

| კომპონენტი 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| **პროგრამა 2 (სახელწოდება, საფეხური)** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პროგრამა 3 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 4 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 5 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 6 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 7 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |
| პროგრამა 8 (სახელწოდება, საფეხური) | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

